განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი 25/11/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 12/12/2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0511ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული - 11/12/2012 გადაწყვეტილება 773

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ირინა ნაკაშიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თეა მჭედლური** ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლევან ციცქიშვილი** სსიპ. ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანი ბილანიშვილი** ივ, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან. პროგრამას აქვს სრული მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. პროგრამის განახლების პროცესში მოხდა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამის კურიკულუმების გაცნობა და მათი გამოცდილების გაზიარება საქართველოს რეალობის გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურა იძლევა საშუალებას კურსდამთავრებულს მისცეს მისთვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თანამედროვე ხელსაწყოებთან მუშაობას, კვლევებში ჩართვას, და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის მიხედვით. წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შესაბამისობაშია სწავლების მეექვსე საფეხურთან (ბაკალავრიატი). პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ჩაერთონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, სპორტული დარბაზი, კაფეტერია, თანამედროვე პარკინგი და სხვა. უსდ უზრუნველყოფს შესაბამის სასწავლო გარემოს სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ბიოლოგიის საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებას განსაკუთრებით ხელს უწყობს დარგის მიმართულებასთან დაკავშირებული ლაბორატორიების სიმრავლე. კერძოდ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები (უსდ-ში ფუნქციონირებს 15 კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც ჯამში აერთიანებს 33 კვლევითი ლაბორატორიას. ბიოლოგიის პროგრამის სტუდენტებს კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლიათ ისარგებლონ შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტებითა და ლაბორატორიებით (მცენარეთა ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის საკვლევი, მოლეკულური

ინჟინერიის, კოგნიტიური თვისებების შემსწავლელი, უჯრედული იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები). გარდა აღნიშნულისა, უსდ-ში ფუნქციონირებს საერთაშორისო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი, რომელიც 4 კვლევით ლაბორატორიას აერთიანებს, რომელთაგან საგანმანთლებლო პროგრამა იყენებს ფიზიკო-ქიმიური ანალიზისა და ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორიებს. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ლაბორატორიები. კერძოდ, უსდ-ს მოქმედი 3 დამოუკიდებელი ლაბორატორიიდან ბიოლოგიის ტექნოლოგიური ლაბორატორია გამოიყენება ბიოლოგიის პროგრამის სასწავლო მიზნებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ-ს აქვს 26 მცირე ჯგუფებზე ფოკუსირებული სასწავლო ლაბორატორია, რომელთაგან 10 ემსახურება ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. უსდ უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისთის სამუშაო სივრცეს ყველა საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობითა და სახარჯი მასალით. 26 სასწავლო ლაბორატორიიდან 10 ემსახურება ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა უმეტესობას აქვს ევროპის უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამას ჰყავს დარგის მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილება და გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობით. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი საკმაოდ აქტიურია სამეცნიერო მიმართულებით. პროგრამაში წარმოდგენილი მიმართულების სასწავლო კურსების წამყვანი პროფესორების კვლევის შედეგები რეგულარულად იბეჭდება WOS-ის მაღალ იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. პროფესორების უმეტესობა სწავლების პარალელურად აქტიურადა არიან ჩართული საგრანტო პროექტების მიმართულებით, მათ შორის საერთაშორისო საგრანტო პროექტებში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის განხორცილებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 35 აკადემიური, 46 სამეცნიერო, 27 მოწვეული და 26 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მთლიანობაში ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ტენდენციებს, ასევე სფეროსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ როგორც ჩვენი ქვეყნის, მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა თუ უნივერსიტეტებში წარმატებით დამკვიდრებას. პროგრამა სრულად შეძლებს დარგის მიმართულებით არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც ასევე თავის მხრივ ეხმიანება სფეროს კვლევის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ინტერნაციონალიზაციას თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 25.11.2020-ს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ონლაინ Zoom-ის პლატფორმის გამოყენე-

ბით. შეხვედრა წარიმართა ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში. ონლაინ Zoom-ის პლატ-ფორმის საშუალებით ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა ბიო-ლოგიის საბაკლავრო სგანმანთლებლო პროგრამა სტანდარტების შესაბამისად. შეხვედრა წა-რიმართა დღის წესრიგის მიხედვით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სამსხურის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელ-თან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

შეხვედრის დროს ონლაინ Zoom-ის პლატფორმის საშუალებით განხორციელდა უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ვიზიტის დასრულებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომდ-გენლებს გაუზიარა პროგრამის შესახებ ძირითადი მოსაზრებები და მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. კერძოდ,

- **სტანდარტი 1**. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
- **სტანდარტი 2.** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შე-ფასების ადეკვატურობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
- **სტანდარტი 3.** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბა-მისობაშია მოთხოვნებთან.**
- **სტანდარტი 4**. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **შესაბამისობაშია მოთხოვ-ნებთან.**
- **სტანდარტი 5**. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **შესაბამისობა-შია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია, პროგრამაში დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს გა-რემოს დაცვის მიმართულების საკითხებსაც. შესაბამისად, სასურველია დაემატოს ბიო-მრავალფეროვნების, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების, და ბიოგეოგრაფიის სასწავლო კურსები;
- იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილ ლიტერა-ტურაში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სასწავლო მასალა. სასურველია გაიზარდოს ინგლისური ენის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა;
- სასურველია პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაფართოება ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებისა და მათი საქმიანობის პროფილის გათვალისწინებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამაში საფეხურებრივად მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილებულია კვლევისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას განათლების, როგორც ადრეულ ისე შემდგომ საფეხურზე ჩაერთოს საერთაშორისო დონის პროექტებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიეკუთვნება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას და წარმოადგენს უნივერსიტეტის მრავალწლიანი ტრადიციის გაგრძელებას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს საერთაშორისო, ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით და მაღალი სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება ბიოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები. ყოველივე, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე-მაგისტრატურაში. პროგრამის მიზანია, სტუდენტს მისცეს ცოდნა ბიოლოგიის გამოყენებით დარგებში და მიაწოდოს ინფორმაცია მათი დანიშნულების შესახებ. გააცნოს ბიოლოგიური კვლევების თანამედროვე მეთოდები, ტექნიკურ - ექსპერიმენტული მიდგომები და გამოუმუშაოს ბიოლოგიური კვლევებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ის ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კურსდამთავრებულების მომზადებაზე არის პროგრამა ორიენტირებული.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან. მისი სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი - აკადემიური და დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან; ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ვებ–გვერდი:: www. agruni.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, გაზომვადი და რეალისტურია. სწავლის შედეგები ადეკვატურია ბიოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის და ითვალისწინებს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისად, თანხვედრაში მოდის მათთან და ითვალისწინებს ცოდნის, უნარების, ავტონომიურობის და პასუხისმგებლობების ასპექტებს. სწავლის შედეგებისა და მიზნების ურთიერთკავშირი კარგად ჩანს პროგრამის მიზნების

და სწავლის შედეგების რუკაზე. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგებისათვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები და განსაზღვრულია რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში აღწერილი და გამოყენებულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ბიოლოგიის მიმართულებით დასაქმების სფეროზე და მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც ხდება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის და უნარების სინთეზის საფუძველზე. თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების გაცნობის და დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის, სწავლის შედეგების შემუშავებასა და მოდიფიცირებაში ჩართულები არიან პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი. პროგრამის განვითარების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზება განხორციელდა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე ხდება პროგრამის პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგად საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ცვლილებების შეტანა პროგრამის შინაარსში და/ან სწავლის შედეგებში და/ან შეფასების სისტემაში. გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში ჩართულობა და აღნიშნეს, რომ იცნობდნენ პროგრამის კურიკულუმს. პროგრამაში ჩართული პირების ინტერვიუების შედეგად ასევე დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს, რაც დასტურდება სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების არსებობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში ზედმიწევნით გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაშვება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში და უსდ-ში მოქმედ კანონმდებლობასთან. უსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია, უზრუნველყოფილია პროგრამის სამართლიანობა, საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა; ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუების შედეგები; ○ უსდ-ს ვებ–გვერდი: www. agruni.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან (ბაკალავრიატი). პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიოლოგიის ბაკალავრი) და შესაძლებელს ხდის პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიოლოგიის პროგრამის შემუშავებისას გაზიარებულია საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და შეხვედრებიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამა ფოკუსირებულია სწავლის მაღალ ხარისხზე. დღეს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე კი ქვეყანას ჭირდება მაღალკვალიფიციური კადრები, რათა შევძლოთ ღირსეული ადგილის დაკავება მსოფლიოში. ვგულისხმობთ, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა კადრების მეტ შესაძლებლობებს საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო პროექტებში.

ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS, რომელიც განაწილებულია 6 კომპონენტში: კერძოდ, 1. საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება (50 ECTS), 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ზოგადი განათლება (33 ECTS), 3. ბიოლოგიის საბაზო განათლება (59 კრედიტი), 4. ბიოლოგიის ძირითადი განათლება (72 ECTS), 5. ზოგადი პრაქტიკული განათლება (8 ECTS), 6. თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები (18 ECTS). პროგრამაში შემავალი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. პროგრამაში გათვალისწინებულია დარგის თანამედროვე მიღწევები. პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალიდან ჩანს, პროგრამაში წარმოდგენილია ბიოლოგიის ტრადიციული დარგებთან ერთად დარგის ახალი მიმართულებებიც. კერძოდ, გენომიკა, სისტემური ბიოლოგია და ბიოინფორმატიკა, რომელთაგან განსაკუთრებით მისასალმებელია ბიოინფორმატიკის სასწავლო კურსის არსებობა პროგრამაში. ცოდნის გადაცემის პრინციპი: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ და პროგრამის კურიკულუმში ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული სასწავლო კურსები.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა საფეხურებრივად ფოკუსირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებისკენ. როგორც სასწავლო პროგრამის სტრუქტურიდან ჩანს, წარმოდგელი სასწავლო კურსები სტუდენტს უმუშავებს კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს თანმიმდევრულად და ეტაპობრივად. კერძოდ, მე-3 სემესტრი - „ზოგადი ბიოლოგიის ლაბორატორიული კურსი", მე-4 სემესტრი -"მცენარეთა ბიოლოგიის ლაბორატორიული კურსი", მე-5 სემესტრი -"ზოგადი გენეტიკის ლაბორატორიული კური" და "ბიოქიმიის ლაბორატორიული კურსი", მე-6 სემესტრი - "უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიული კურსი", მე-7 სემესტრი -"ანატომიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიული კურსი" და "იმუნოლოგიის ლაბორატორიული კურსი". ხოლო მე-7 სემესტრიდან -"სინიორ პროექტი 1" და მე-8 სემესტრიდან -"სინიორ პროექტი 2" სტუდენტს ეხმარება დამოუკიდებელი სამეცნიერო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო უნარების შეძენაში. რაც ნათლად დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების დროს. გარდა აღნიშნულისა, კურდამთავრებული სტუდენტების მაღალ კომპეტენციას ადასტურებენ დამსაქმებლებიც.

სტუდენტებს აქვთ ასევე შესაძლებლობა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გარდა დამატებით 15 კრედიტის ფარგლებში გადასახადის გარეშე აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსები საჭიროებისამებრ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები, უსდ-ს ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი;
- ბიოლოგიის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის სემესტრული გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები;
- უსდ-ს ვებ–გვერდი: www. agruni.edu.ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამაში საფეხურებრივად მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილებულია კვლევისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას განათლების, როგორც ადრეულ ისე შემდგომ საფეხურზე ჩაერთოს საერთაშორისო დონის პროექტებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეულ სასწავლო კურსში საჭიროებიდან გამომდინარე განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, ცალკეული სასწავლო კურსის შემთხვევაში გამოყენებულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS (1 ECTS მოიცავს 30 საათს), რომელიც განაწილებულია 6 კომპონენტში: კერძოდ, 1. **საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება** (50 ECTS) მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: აზროვნების მათემატიკური (5 ECTS), ანთროპოლოგია (4 ECTS), ბუნებისმეტყველება (4 ECTS), ეკონომიკის საფუძვლები (4 ECTS), თანამედროვე პოლიტ. იდეოლოგიები (4 ECTS), ინგლისური ენა B1/b2 (7 ECTS), ლიტერატურა და ხელოვნება (5 ECTS), ლოგიკა (4 ECTS), მსოფლიო ისტორია და საქართველო (3 ECTS), ფილოსოფია (4 ECTS), ფსიქოლოგია (4 ECTS), ქართული ენა და ქართველები (2 ECTS); 2. **საბუნებიმეტყველო მენციერებების ზოგადი განათლება** (33 ECTS), სადაც წარმოდგენილ-

ია: ზოგადი ქიმია (თეორიული კური) (4 ECTS), ზოგადი ქიმია (ლაბორატორიული კურსი) (3 ECTS), ზოგადი ბიოლოგიის თეორიული კურსი (3 ECTS), ზოგადი ბიოლოგია (ლაბორატორიული კურსი) (4 ECTS), ფიზიკა I(5 ECTS), მათემატიკა (კალკულუსი)(6 ECTS), მათემატიკა (სტატისტიკა) (5 ECTS), ეკოლოგია (3 ECTS);

3. **ბიოლოგიის საბაზო განათლება** (59 კრედიტი), სადაც წარმოდგენილია სასწავლო კურსები: ბიოქიმია 2 (5 ECTS), ბიოქიმიის ლაბორატორიული კურსი (4 ECTS), ზოგადი ბიოქიმია (5 ECTS), ზოგადი გენეტიკა (თეორიული კურსი) (5 ECTS), ზოგადი მიკრობიოლოგია (4 ECTS), თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლები (3 ECTS), ორგანული ქიმია 1 (თეორიული კურსი) (3 ECTS), ორგანული ქიმია 1 (ლაბორატორიული კურსი) (3 ECTS), ორგანული ქიმია 2 (5 ECTS), უჯრედული ბიოლოგია (6 ECTS), ფიზიკური ქიმია 1 (5 ECTS), ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი (5 ECTS);

4. **ბიოლოგიის ძირითადი განათლება** (72 ECTS) მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია (4 ECTS), ანატომია და ფიზიოლოგია (ლაბორატორიული კურსი) (5 ECTS), ბიოინფორმატიკის საფუძვლები (3 ECTS), ბიოლოგიის ლაბორატორიული პრაქტიკა (5 ECTS), ზოგადი გენეტიკა (ლაბორატორიული კურსი) (4 ECTS), ზოგადი იმუნოლოგია (5 ECTS), ზოოლოგია და ანატომია I (4 ECTS), ზოოლოგია და ანატომია II (3 ECTS), იმუნოლოგიის ლაბორატორიული კურსი (4 ECTS), მოლეკულური გენეტიკა და გენომიკა (5 ECTS), მცენარეთა ბიოლოგია (თეორიული კურსი) (6 ECTS), მცენარეთა ბიოლოგია (ლაბორატორიული კურსი)(4 ECTS), სინიორ პროექტი I (6 ECTS), სინიორ პროექტი II (6 ECTS), უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია (ლაბორატორიული კურსი) (5 ECTS), ქცევის ბიოლოგია (3 ECTS);

5. **ზოგადი პრაქტიკული განათლება** (8 ECTS), სადაც წარმოდგენილია 2 სასწავლო კურსი: მუშაობა ორგანიზაციაში (5 ECTS) და საველე პრაქტიკა (3 ECTS);

6. **თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები** (18 ECTS), რომელშიც წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსები: განვითარების ბიოლოგიის საფუძვლები (4 ECTS), კინოლოგია ფელინოლოგია (4 ECTS), მეაბრეშუმეობა (4 ECTS), მეფუტკრეობა (ECTS 4), მწერების მრავალფეროვნება და მნიშვნელობა (3 ECTS), სამეცნიერო ინგლისური ენა (3 ECTS).

საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურიდან ჩანს, წარმოდგენილი საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების (50 ECTS) სასწავლო კურსები ხელს უწყობს ზოგადი განათლების დონის ამაღლებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ზოგადი განათლება (33 ECTS) მოიცავს დარგის ზოგად სასწავლო კურსებს, სადაც საფეხურებრივად შემოდის ლაბორატორიული კურსები. ბიოლოგიის საბაზო განათლების (59 ECTS) მიმართულება აერთიანებს ბიოლოგიის სფეროს შესასწავლად მნიშვნელოვან საბაზო სასწავლო კურსებს. ბიოლოგიის ძირითადი განათლების (72 ECTS) მიმართულება წარმოდგენილია ბიოლოგიის სფეროს შესასწავლად აუცილებელი ძირითად თეორიულ, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კომპონენტებით.

მთლიანობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ზოგადი განათლების, ბიოლოგიის საბაზო განათლებისა და ბიოლოგიის ძირითადი განათლების კომპონენტები, რომლებიც წარმოადგენს პროგრამის დაახლოებით მესამედს, მაქსიმალურად ხელს უწყობს პროფესიული პრაქტიკული უნარების განვითარებას. ზოგადი პრაქტიკული განათლება (8 ECTS) აერთიანებს სასწავლო კურსებს: მუშაობას ორგანიზაციაში და საველე პრაქტიკას. ექპერტთა ჯაუფის წევრებს გვქონდა შეკითხვები ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტთან დაკავშირებით, რომელებზეც მივიღეთ ამომწურავი პასუხები პროგრამის ხელმძღვანელებისგან. გარდა აღნიშნულისა, ინტერვიუების დროს სტუდენტები დადებითად აფასებენ აღნიშნული სასწავლო კურსებს. თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში (18 კრედიტი) წარმოდგენილია 6 სასწავლო კურსი. საყურადღებოა ისიც, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სხვა სასწავლო კურსები უსდ-ში არსებული საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში.

მიუხედავათ იმისა, რომ არსებული ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგ-

რამა უზრუნველყოფს თავისუფალი სასწავლო კურსების ფარგლებში არჩევითობას. ვფიქრობთ სასურველია პროგრამაში დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს გარემოს დაცვის მიმართულების საკითხებსაც. კერძოდ, ბიომრავალფეროვნების, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების, და ბიოგეოგრაფიის სასწავლო კურსები. გარდა აღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილ ლიტერატურაში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სასწავლო მასალა. ვფიქრობთ, სასურველია გაიზარდოს ინგლისური ენის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა. თითოეული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი ლექტორის მიერ შემუშავებულია სასწავლო კურსის სილაბუსი. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, სასწავლო კურსის კოდი, აკადემიური წელი, სემესტრი, სასწავლო კურსის ტიპი (ძირითადი, თავისუფალი არჩევითი), სწავლების ენა, საგნის განმახორციელებელი პროფესორი, ლექტორის ელექტრონული ფოსტა, აუდიტორიის ნომერი, დამატებითი კონსულტაციის შესახებ აღნიშვნა, სასწავლო კურსის აღწერა, პრერეკვიზიტი, სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, შეფასების შკალა, სასწავლო მასალები, კალენდარული გეგმა, დამატებითი მოთხოვნები ასეთის არსებობის შემთხვევაში. თითოეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსს. სასწავლო კურსში წარმოდგენილი გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და საწავლო მასალა ითვალსიწინებს თანამედროვე ტენდენციებს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიოლოგიის საგანმანთლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამებაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგი ფასდება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. მთლიანობაში პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები მაქსიმალურად უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და შედეგებით გათვალიწინებული კომპეტენციის გამომუშავებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ბიოლოგიის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები; ○ უსდ-ს ვებ–გვერდი:www. agruni.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პროგრამაში დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს გარემოს დაცვის მიმართულების საკითხებსაც. შესაბამისად, სასურველია დაემატოს ბიომრავალფეროვნების, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების, და ბიოგეოგრაფიის სასწავლო კურსები; ○ იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილ ლიტერატურაში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სასწავლო მასალა. ვფიქრობთ, სასურველია გაიზარდოს ინგლისური ენის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა სწავლის შედეგებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებასა და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს სტუდენტის საქმიანობის შეფასებას. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტები და სინიორ პროექტები (I და II). გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსი „მუშაობა ორგანიზაციაში“ (იგივე საწარმოო პრაქტიკა) პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური კვლევითი ინტერესის გათვალისწინებას. შესაბამისად, უსდ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებელთან, რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად წარმოდგენილ სასწავლო კურსებში, სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენება შესაბამისი სწავლების/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (ბაკალავრიატი), კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, გამოიყენება სწავლების შესაბამისი მეთოდები (სწავლების ვერბალური, ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე მუშაობის, წერითი მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, დემონსტრირების, ანალიზის, სინთეზის, ლაბორატორიული, პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, ინტერაქციული, შედარებითი და სხვა მეთოდები). სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს განსხვავებული მეთოდი საჭიროებებიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ შეხვედრის შედეგები; ○ უსდ-ს ვებ–გვერდი: www. agruni.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან (2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“). შესაბამისად, სტუდენტების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემით, რომელიც მოიცავს: შუალედურ შეფასებებსა და დასკვნით გამოცდას. სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტები და მეთოდები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკასა და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის კომპონენტების გამოყენებით. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორიცაა: დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება, აქტიურობის შეფასება, შუალედური გამოცდები, საშინაო დავალებები, ქვიზები, პრაქტიკული სამუშაოები, ლაბორატორიული სამუშაოები, პროექტები, ანგარიშები, წერითი ნაშრომები, ესეები, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაციები, ღია/დახურული ტესტები, დასკვნითი გამოცდები. შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია კომპონენტები და რუბრიკები, შესაბამისი ქულების გრადაციის მიხედვით, რაც სასწავლო კურსის წამყვან პროფესორს/მოწვეულ მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას ობიექტურად შეაფასოს სტუდენტი. შესაბამისად, სტუდენტისთვის შეფასების გამჭვირვალე სისტემა ხელმისაწვდომია სილაბუსში, რომელიც განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში. გარდა აღნიშნულისა, უსდ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ დეტალური ინფორმაცია გამოცდების წარმართვასთან დაკავშირებით თავსდება ვებ-გვერდზე დადგენილი პროცედურების მიხედვით. გამოცდების 85% ტარდება საგამოცდო ცენტრში. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;

○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუების შედეგები; ○ უსდ-ს ვებ–გვერდი: www. agruni.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიოლოგია“ ხორციელდება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში. ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიან საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და კონსულტაციას უწევენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და სხვა საკითხებზე.

სტუდენტი პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას და კონსულტაციას. უნივერსიტეტების მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ და ღიად დევს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სწავლის დაწყებისთანავე საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში და გაფორმებული ხელშეკრულებებით.

საგნის სილაბუსებში აღწერილია როგორ ხდება სტუდენტის მიერ ათვისებული ცოდნის გამოკითხვა და რა კონკრეტული კრიტერიუმებითა და რუბრიკებით ფასდება იგი. თითოეული საგნის ლექტორი სტუდენტებთან პირველივე შეხვედრაზე აცნობს სილაბუსს და ყურადღებას ამახვილებს შეფასების ფორმებსა და მექანიზმებზე. სტუდენტებმა კალენდარული გეგმიდან გამომდინარე, იციან, როდის ხდება კონკრეტულ საგნებში ცოდნის შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელი ხელს უწყობს სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების დაგეგმვას, კოორდინირებას და თანამედროვე სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირებას.

მცირე კონტინგენტის გათვალისწინებით, სტუდენტებს ყოველდღიური კომუნიკაცია აქვთ აკადემიურ პერსონალთან. შეუფერხებლად იღებენ მათგან რეკომენდაციებს კვლევით თუ სხვა მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. აღნიშნული დასტურდება როგორც აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით, ისე უშუალოდ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევით.

დაწესებულების მხრიდან თვითშეფასებასა და ინტერვიუებშიც აღინიშნა, რომ მათ მუდმივი კავშირი აქვთ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ყოველთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ როგორც სტუდენტების დეკანს, ისე დასაქმების მენეჯერს. მათი საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://agruni.edu.ge/ge/node/944, http://freeuni.edu.ge/ge/node/622).

სტუდენტთა ინტერესების დაცვის, მათი ინფორმირებულობის კონტექსტში აღსანიშნავია სტუდენტების დეკანის, როგორც ინსტიტუტის არსებობა. იგი არის ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის და აჟღერებს სტუდენტთა პრობლემებსა და გამოწვევებს. ასევე ხელმძღვანელობს სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან;
- ვებ-გვერდები: http://agruni.edu.ge, http://freeuni.edu.ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაფართოება ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებისა და მათი საქმიანობის პროფილის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან: 73 პერსონალი, მათ შორის 35 აკადემიური, ყველა მათგანი არის აფილირებული და 27 მოწვეული პერსონალი, პროგრამაში ასევე ჩართულია 11 მეცნიერი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მეცნიერთა ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სასწავლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა რეგულირდება პროგრამების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ მსოფლიო პრაქტიკისა და ტენდენციების გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელს უდავოდ გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად გათვალისწინებულია ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება, პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი ფაილი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე აქტიური საქმიანობის მაჩვენებელია, უნივერსიტეტში არსებული აკადემიური პერსონალის განვითარების მენეჯერის და სამეცნიერო სამსახურის კორდინატორის ინსტიტუტის არსებობა, მათი მრავალფეროვანი საქმიანობა დაწვრილებითა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში, ისინი უდავოდ ემსახურებიან უნივერსიტეტში დასაქმებული სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტებთან. აღსანიშნავია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფართო მასშტაბები, რისთვისაც უნივერსიტეტს გააჩნია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე აკადემიური რესურსი. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზს. მეცნიერის ყოველწლიური შეფასების კრიტერიუმები ასევე დაწვრილებითაა წარმოდგენილი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი განვითარება; ○ სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ; ○ აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების ვებ-გვერდი; ○ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების მეთოდიკა; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ფუნქციონირებენ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების ბაზაზე, არიან სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების (BSL 1; BSL 2) შესაბამისი დონეებით. ფუნქციონირებს ვივარიუმი რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის. უნივერსიტეტების კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს, კულტურის ცენტრს, კა-

ფეტერიას, საგამოცდო ცენტრს, თანამედროვე პარკინგს, მუზეუმებს, კინოთეატრის დარბაზს და სხვა. სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიში
- ონლაინ ჩართვები ლაბორატორიებიდან და ბიბლიოთეკიდან ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დემონსტრაციის მიზნით;
- ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან;
- აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მიუხედავად იმისა რომ, პროგრამას არ გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფინანსური ნაკადები პროგრამის ფინასური მდგრადობის საწინდარია.

შემოსავლების წყაროები ნათლადაა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში:

- სტუდენტების გადახდები 60%;
- სახელმწიფო სასწავლო გრანტი 37%;
- სოციალური გრანტი 2%;
- სხვა დაფინანსება 1%.

ყურადსაღებია მიდგომა: 100% იანი რეინვესტიცია განათლებაში!

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ცოდნის ფონდი“, რომელიც ფინასურ დახმარებას უწევს როგორც სტუდენტებს ასევე მეცნიერ-პედაგოგებს. ინსტიტუცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აგრარული უნივერსიტეტის წარმოდგენილი 2019 -2020 წლის ბიუჯეტი; ○ ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან და რექტორთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება ხორციელდება ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც მუდმივად თანამშრომლობს უნივერსიტეტში არსებულ სხვა სტრუქტურებთან. შეხვედრებიდან ჩანს, გუნდურობა და პრობლემის გადასაწყვეტად კომპლექსურად მუშაობა. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართულია: სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების სამსახურების წარმომადგენლები, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პროექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში და სტუდენტების დეკანი. შესაბამისად, პრობლემაზე გუნდური მუშაობა აადვილებს პროგრამის წინაშე მდგარი პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდნენ რექტორი, პრორექტორები, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, სტუდენტების დეკანი, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა ნათლად წარმოადგენს თითოეული სასწავლო კურსის აუცილებლობას პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის ხელმძღვანელს, პროგრამების განვითარების პრორექტორს, ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებაში. შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად მაქსიმალურად ითვალისწინებს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ხარვეზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან და შეხვედრებიდან ირკვევა, რომ ბიოლოგიის საგანმანთლებლო საბაკალავრო პროგრამის შიდა შეფასება სისტემატიურად ხორციელდება ხარისხის შიდა სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი კითხვარების საშუალებით. საკითხის თავისებურებებიდან გამომდინარე, გამოიყენება შეფასების შესაბამისი მეთოდები, რომელთა ანალიზის საფუძველზე სისტემურად ხდება სწავლის პროცესის გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას წარმართავს „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის“ (PDCA) მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურის სილაბუსები; ○ შეხვედრა თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფთან და ინტერვიუების შედეგები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთ-ხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, შესაბამისად, ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შეხვედრა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემ-თხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტი პროგრამის შეფასებისთვის იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხდება პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით მონაცემთა ანალიზის მიხედვით დგინდება სასწავლო კურსთან დაკავშირებული ცვლილებების საჭიროება. უსდ-ში პროგრამების შეფასება პერიოდულ ხასიათს ატარებს, რაც ასევე დასტურება გასაუბრების დროს. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკას იყენებს პროგრამების განვითარების პრორექტორი, ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ირინა ნაკაშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თეა მჭედლური

ლევან ციცქიშვილი

ანი ბილანიშვილი